15/12/07-02

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი 7 დეკემბერი 2015 წ.

ერთის მხრივ სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამბოკაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს "თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი", წარმოდგენილი კანცლერის ვახტანგ ლეჟავას მინდობილი პირის ალექსანდრე კაჭარავას (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: N151181881; პირადი ნომერი: 01017006937) მიერ (შემდგომში „მიმწოდებელი"), მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 1.2. პუნქტში აღნიშნული სატრეინინგო მომსახურების შესყიდვა.
1.2. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს 2015 წლის 12-13 დეკემბერს ბიზნეს სამართლის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ განგრძობადი იურიდიული განათლების მე-5 ეროვნულ კონფერენციაზე ბიზნესის სამართალში „შემსყიდველის" სამი თანამშრომლის დასწრება (სატრენინგო მომსახურებები-CPV 80500000).
1.3. სატრენინგო მომსახურება ითვალისწინებს სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის" 3 თანამშრომლის (ლევან გურული, ანი ტომარაძე, ბექა ჯალიაშვილი) მომზადებას.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.
2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შეადგენს 450 ლარს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საერთო ვადა განისაზღვრება 2015 წლის 12 დეკემბრიდან 2015 წლის 13 დეკემბრის ჩათვლით.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება შესაბამისი სერთიფიკათის გაცემით.

5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში,

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. „შემსყიდველს" უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
7.2.2. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
7.3. „მიმწოდებელს" უფლება აქვს მოსთხოვოს „შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
7.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ, ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2015 წლის 12 დეკემბრიდან 2016 წლის 14 იანვრის ჩათვლით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა, დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების შეცვლისას, „მიმწოდებელი“ ვალდებულია ამის შესახებ წერილობით აცნობოს „შემსყიდველს“. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ არ დაეთანხმება გაზრდილ ღირებულებას, მას უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

10. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.
13.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი დავით ნამჩევამე.
13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შესახებ, „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით.
13.4. გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“ სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“	„მიმწოდებელი“ შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
ქ. თბილისი. ზარათაშვილის ქ. №2 ტელ. 240-14-20 სს „თიბისი ბანკის“ ვერის ფილიალი ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE76TB7505936030100001 საიდენტიფიკაციო კოდი 205170036	ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 240 ტელ. 2200901 სს „საქართველოს ბანკი“ ა/ა GE16BG0000000353107100 საიდენტიფიკაციო კოდი 211359448
გენერალური დირექტორი ვახტანგ ამბოკაძე	მინდობილი პირი (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: N151181881) ალექსანდრე კაჭარავა

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

19475938695615

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N151181881

რეგისტრაციის თარიღი

27.10.2015 წ

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე
მისამართი: ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16
ტელეფონი: 591 701 115; 322 43 28 70;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორი ათას თხუთმეტი წლის ოცდაშვიდ ოქტომბერს მე, თამარ ბაქრაძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ/დიღომი ი.პეტრიწის №16, მომმართა სოფიკო კიზილაძემ, მან წარმოადგინა ვახტანგ ლეჟავას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და განაცხადა, რომ ვახტანგ ლეჟავა, არის შპს "თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი"-ს (რეგისტრირებული 21/12/1995წელს, ს/კ № 211359448) კანცლერი, რომელსაც არ შეუძლია სანოტარო ბიუროში გამოცხადება და ამჟამად იმყოფება მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №240. სურს სანოტარო აქტის - მინდობილობის შედგენა, რომლითაც შესაბამის უფლებას ანიჭებს მოქ. ალექსანდრე კაჭარავას და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება.

მე, ნოტარიუსმა, შევამოწმე მისი პირადობა სამოქალაქო რეესტრის ელექტრონულ მონაცემთა ბაზის მეშვეობით, შემდეგ ვეახელი ვახტანგ ლეჟავას ზემოთ მითითებულ მისამართზე წინასწარ შედგენილი მინდობილობის პროექტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ვახტანგ ლეჟავას (დაბ. 22.10.1966 წელს, თბილისი, პირადი № 01024019706, რეგისტ. მისამართზე: ქალაქი თბილისი, ი. გოგებაშვილის II გას. №17) სურდა მინდობილობის შედგენა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. ვახტანგ ლეჟავას წავუკითხე წინასწარ შედგენილი მინდობილობის პროექტი, რომელიც განვუმარტე მას. მან წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, ვახტანგ ლეჟავა, როგორც შპს "თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი"-ს (ს/კ № 211359448) კანცლერი შემდგომში ამ მინდობილობაში წოდებული როგორც "მიმნდობი პირი", ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ ალექსანდრე კაჭარავას (დაბ. 03.04.1979 წელს, თბილისი, პირადი № 01017006937) შემდგომში – "მინდობილ პირს":

ალექსანდრე კაჭარავა უფლებამოსილია იყოს ვახტანგ ლეჟავას, როგორც შპს "თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი"-ს (ს/კ № 211359448) კანცლერის, წარმომადგენელი და შეეძლოს კომპანიის წარმოდგენა სახელმწიფო, არასახელმწიფო, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში. ნებისმიერი სამთავრობო, ადგილობრივი და მუნიციპალური ორგანოს, ბუნებრივი აირის, წყალმომარაგების, ელექტროენერგიის, დასუფთავების სამსახურებში. საფოსტო, ტელეგრაფის და საკომუნიკაციო დაწესებულებების, საბაჟო სამსახურის წინაშე. საჯარო და სამეწარმეო რეესტრში. საქონლის გადაგზავნასთან, გადაცემასა და მიღებასთან დაკავშირებით, შეეძლოს შესაბამის ზედდებულებზე ხელის მოწერა საქონლის ჩამოსვლისას, ნებისმიერი შესაძლო პრეტენზიის ან მოთხოვნის წარდგენა. შეეძლოს ნებისმიერი დაზღვეული წერილის - საფოსტო გზავნილის ან სარკინიგზო გზავნილის და ნებისმიერი სახლის ექსპრეს ფოსტის მიღება. ასევე უფლებამოსილია საზოგადოება/კომპანია/წარმოადგინოს ნებისმიერი ადმინისტრაციული, საგადასახადო და იურიდიული ორგანოს წინაშე/ აგრეთვე აკრძალვის, ჩამორთმევის და გაუქმების პროცედურებში. წარადგინოს აღმკვეთი და აღსრულების აქტები, მათზე ზედამხედველობის დაწესება და საჭიროების შემთვევაში გაუქმება, მონაწილეობა მიიღოს გაკოტრებასთან, მორიგებასთან და დროებით მმართველობასთან დაკავშირებულ პროცედურებში და წარადგინოს შესაბამისი დეკლარაციები. ასევე კომპანიის წარმოდგენა ყველა ინსტანციის სასამართლოში და შეასრულოს ყველა მოქმედება, დაკავშირებული მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან.

მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს თამარ ბაქრაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.

მინდობილობა გაცემულია ექვსი თვის ვადით, შემდგომი გადანდობის უფლებით.

მინდობილობა შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით, რისთვისაც საჭიროა ამ გარიგების სანოტარო წესით გაუქმება.

ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში თან ერთვის:

შპს "თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი"-ს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

შპს "თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი"-ს წესდების ასლი თან ერთვის ჩემს სანოტარო ბიუროში დაცულ მინდობილობას რეგისტრირებული რეესტრში № 150301409, თარიღი 27.03.2015წ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილების № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა - 10 (ათი) ლარი: ასევე 34 მუხლის თანახმად 20 (ოცი) ლარი, დღგ 5.40 (სუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების საფასური 2.00 (ორი) ლარი, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილების 39-ე მუხლისა. სულ გადახდილია 37.40 (ოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი თამარ ბაქრაძე
NOTARY TAMAR BAKRADZE
01014002800
ნოტარიუს თამარ